

რ ე ო ლ რ ა ჭ ი უ ლ ი

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ახლისა აღთქმისა,

მ ჰ ე რ ო ბ ე ლ ი

თჳს შორის

ანბანთაშებრ დაწეობილადითა

29751

აღწერისა ქუჩუანათა, სამთავროთა, ქალაქთა, მდინარეთა, ჭალაკთა და სხუათა ლეოღრაფიულთა საგანთა წერილთა ახალსა შინა აღთქმასა ხუჩუნებითა მუწლისა და ახლისა მდგომარეობისა მათისათა.

რუსულისაგან გარდმოღებული ცარასის მიერ  
მღუჭელმონოხონისა.

ს ა ნ კ ტ ჯ ე ტ ე რ ბ უ რ ლ ს

ს ტ ა ნ ბ ა ს ა შ ი ნ ა ო ა ს ე ბ ო თ ა ნ უ ს ლ ო ჳ ი ს

წ ე ლ ს ა 1824.





ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ:

Декабря 7 дня 1823 года.

Докторъ Богословія Казанскаго Собора

Священникъ Герасимъ Павскій.

Будетъ издано въ Казани

въ 1823 году

у  
Губернскаго  
Печатнаго  
Дѣла

კინადგან უქმისაგანცა მიწისა სათანადო  
არს აღმოცენებდ ნაყოფნი რადმენი სახმარად ვა-  
ცთა საგსებისა: ამის გამო ვადნიერქმნილმან,  
ესე ვიგულს მოდგინე მეცა, მით, რადცა თვსეუოდა  
უწყრთელობასა ჩემსა სახმარად სწავლათა შეძი-  
ნებისა: დაბეჭუდადცა არა მრიდმან ნადუაწითავე  
ჩემითა ქარტებითურთ თვსით ზირველ გამოცე-  
მულთ ქართულსა ენასა ზედა: რომელსაცა  
ვქსდღუნი სიმდაბლით ნიჭად სიუყარულისად თა-  
ნამომქეთა ჩემთა, ძეთა საქართუმლოდსა ვეთილ  
ვრმალოლთა მღუდელთასა, რათა ექმნასთ მათ  
ლამპრად ადვლმოსამიებელად სადმართთა ჩე-  
რილთა შინათლექსთა ღეოდრადიულთა, და შე-  
სამეცნებელად მდგმარეობათაცა მათთა. ხოლო  
უკეთუ უხამსობდეს სადამე შრომა ესე ჩემი,  
ვითხოვ მოეცეოს ზირუმლსა კვლხებასა ჩემსა.  
მ. მ. ც.



# წინასიტყუთაობა.

ამას შინა არცაღა მცირედ რაჲმე საიჭუწლ  
 არს, რომელ სწავლას ისტორიისა სათანადო არს.  
 და ვინაჲგან სწავლასა მისსა თვნიერ ლეოდ-  
 რაჭიის ცოდნისა, რომელიცა შერაცხილ არს ლამ-  
 რად ისტორიისად, მრავლად ექმნებიან სიძნელენი  
 და დაბრკოლებანი ცხადად სმენისათვის მისისა; მა-  
 შა თანასწორად სწავლისა თვისცა სამღუდელთსა  
 ისტორიისა საჭირო სადაჲმე არს სამღუდელთცა  
 ლეოდრაჭია. იგი, წარმომადგინებელი აღსურვისა  
 მუწლთა და აწინდელთა თვის მდგომარეობათა სამ-  
 ღუდელთსა ისტორიისა შინა მოხსენებულთა ად-  
 გილთასა, ჰყოფს მათ სასიამოვნოდ საკითხუწლ  
 სასმენელად, და თვით ამითცა მსწრაფლად და აძ-  
 ლად დაბეჭუდად მისსა შესაძლო არს ხსოვასა  
 შინა.

და ამისთვის შესაბამიყო ქონებად ანუ სრუ-  
 ლისა სამღუდელთსა ლეოდრაჭიისა, ანუ სრუ-

ლისა ლეოდრაჭიულის ლექსიკონისა. ღაგინადგან  
 თხზულება ესე ვითარისა წიგნისა, მიხეცის გამო-  
 მრავალთა შემთხურულებათა, მურღლისა აღთქმისა  
 ლეოდრაჭიულთა საგანთა შორის, -ითხრავს შრო-  
 მასა, ღრმად ცნობისა და გრძლად გამოძიებისასა  
 მურღლთა მათ ადგილთასა; ამისთვის ზირურღლისა ამის  
 შემთხურვისამებრ დაიბეჭდების მხოლოდ ლეოდ-  
 რაჭიული ესე ლექსიკონი ახლისა აღთქმისა.

ესე ვითარი თხზულება კეთილად შევრაცხე მე  
 ამისთვის, რომელ შემთხურული ახლისა აღთქმისა  
 ისტორიასა შინა ლექსი ლეოდრაჭიული, ანბანთა-  
 მებრ დაწყობილებათა შორის მსწრაულად შესამ-  
 ლთ არს მოხრებად. გარნა, ვინადგან ლექსიკონ-  
 ნი, თავით თვისით ვერ შემძლებელარს მოცემად  
 სისტემატიკებისა ხსოვისა ლეოდრაჭიისათვის ახ-  
 ლისა აღთქმისა; ამაღ უკუნქცევისათვის მისისა,  
 დაიბების დასაწყისსა შინა ამის წიგნისასა მოვლედ  
 დასახუა სამღურველთსა ლეოდრაჭიისა  
 ახლისა აღთქმისა, რთამცა მის მიერ ხილურად  
 შესამლო იყოს დაწყობილება ლეოდრაჭიისა ახლი-  
 სა მისვე აღთქმისა.

აღწერასათანა თითოეულია ადგილისა,   
 ვინწრაფე მე დაცუა შემდგომთა ამთ წესთა: 1)   
 აღნიშუნა, სადაცა მოიხსენებინ სსხელნი მათნი   
 ახალსა აღთქმასა შინა; 2) რადთაცა ხინებულ   
 არიან იგინი სამღუდელთსამებრ იხგორიისა   
 3) უითართა ღირს-სახსოვართა ცუდილქებათა შინა   
 შთავრდომილ-ქმენ ვიდრე ჩუენ დროდმდე; 4)   
 უითარსა მდგომარეობასა შინა იპოებინ აწ, და   
 5) რომელსა ღრადუსსა ქუენზე მდებარებენ ლე-   
 თღრაფიულისა სივრძისა და სივრცისასა.

ვარნა მათ უოველთა ძალისამებრ ჩემისა მე-   
 ცადინობათა თანა დაცვსათვს ნანძულ სრულებასა   
 შინა წემო-ხსენებულთა მათ წესთასა, ვერ უძლე მე   
 დაცვა მათი უოველცან; ვინაღვან იგინიცა, რომელ-   
 თაცა ნაკადულთა მებრ მსსახურეს მე შეწუობასა   
 შინა ამა ლექსიკონისასა, ვითარ იგი, კალმეცა,   
 ფილიპე, კლუვერი, პრიტი, ანვილო, იო-   
 სებ, ჟოლო, სტაფენდენ, და კრიგორე-   
 ვიჩი, იუენენ რომელთათვსმე ადგილთა არა სავ-   
 მათფ მომთხრობნა.

სხუებრ უცხადესისათვს გულის-ხმის-უოფი-   
 სსა ლექსიკონსა ამას შინა აღწერილთა ადგილთასა,

დაიძვების მათ თანა ძვილის შიშ შემცირებულის  
 ზომისაშებრ 1) ქარტა წარმომადგინებელი  
 ახალსა ადთქმასა შინა მოხსენებულთა  
 ქუჩუანათა, სამთავროთა, ქალაქთა, ჭა-  
 ლაკთა და სხუათა: 2) ქარტა ადთქმის ქუჩუ-  
 ვანისა ანუ პალესტინისა, და 3) სახე ქა-  
 ლაქისა იერუსალიმისა დახასულებათამ-  
 ებრ ლოფმანხოვისათა შიშუწებელი ადგი-  
 ლთა ღირს სახსოვრად შერაცხილთა დრო-  
 სს შინა ქრისტიანთა.

სასურველარს ჩემდა, უვეთუ შრომა ესე  
 ჩემი კმასაყოფელ იქმნას რიოდლითამე სახითა  
 გამოძიების მოუწყარებით მკითხულთაჲნი ჩინე-  
 ბულთა ქუჩუანისა ოსტორიითასა, და მსურველთა  
 ცხადად ცნობისა მათ ქუჩუანათა და ადგილთასა  
 სადაცა აღსრულებულ იქმნენ აღწერილნი ამას შინა  
 ჩინებულნი შემთხუწულებანი. ესე ვითარივეთილად  
 აღსრულება ამისი განმადგებდა მე უადრესისადმი  
 დუაქლისა მსგავსთა ამათ სავანთასა.



მ თ კ ლ ე ღ ღ ა ს ა ხ ე ა

სამღუჭელო-სა ღეო-ღრიაქიისა.

ახლისა ადთქმისა.

1.

სახელითა სამღუჭელო-სა ღეო-ღრიაქი-  
ისათა გულის-სმა-იუო-ფეების აღწერა მათ ქუჭ-  
ყანათა, სამთავროთა, ქალაქთა და სხუათა ღეო-ღ-  
რიაქიულთა საგანთა, რომელთა თვსცა სამღუჭე-  
ლო-სა წერილსა შინა მოხსენებულ-არის.

2.

არამედ ვითარ იგი სამღუჭელო წერილი გა-  
ნუო-ფილ-არს ქუჭ-ღსა და ახალსა ადთქმასა სედა;  
გვრეთვე სამღუჭელო-ცა ღეო-ღრიაქის შესამლო არს

განყოფილ ღვთაებად და ღვთაებად და სხვისა აღთქმისად. პირუტყვი თანამდებარს შეცუად თვს შორის ღვთაებად და სხვისა აღთქმისად. განსათანადო არს ცნობად, რომელ, ვითარ იგი პირუტყვი, ეგრეთუ მყოფეა არს სრულებით განსხვავდებიან ურთიერთარს: ვინადაც თორთავუ შინა მრავალნი იპოვიან საგანნი სასოგადონი, მაგალ, ეგიპტე, ასურასგანი, ფინიკია, იერუსალიმი და სხუანი.

3.

ვინადაც ახალსა შინა აღთქმასა მოიხსენებდებიან მხოლოდ შემდგომნი ესე ქუჩუანანი ანუ ვერძონი, ევროპისა; 1) სპანია, 2) იტალია, 3) ილირიკია, 4) მაკედონია, 5) ელლად ანუ საბერძნეთი; ასიისა, 1) ასია საკუთრად ესრეთ წოდებული, ანუ სხუტბრ, მცირე, 2) ასურასგანი, 3) იუდია ანუ აღთქმის ქუჩუანა, 4) მესოპოტამია, 5) ქალდეა, 6) პართი, 7) მიდია, 8) ელამიტი; და აფრიკისა; 1) ეგიპტე, და 2)

ღიბია: მაშა სადამე ლეოღრაფიასა ახლისა აღ-  
თქმისასა მხოლოდ ესე ქუზუანნი თვსითა სამთავ-  
როებითა, ქალაქებითა და სხვთა მათდამი შეერთე-  
ბულითა ადგილებითა, რომელნიცა მოიხსენებიან  
ახალსაშინა აღთქმასა აქუს საგანად თვსად.  
რომლისათვსცა შემდგომსაცა ამას ჰინაქსსა ში-  
ნა, რომელიცა წინარე დაიდების უადვილსისათვს  
გულის ხმის უოფისა მათისა, წარმოდგომილ არიან  
იგინი სისტემატიკებრსა ხედუასა შინა, შეერთე-  
ბულებითა რომელთამე მათ სამთავროთათა, რომ-  
ელნიცა არ მოხსენებულ არიან ახალსა შინა აღ-  
თქმასა; ამისთვს რომელ ანუ განკუთვნილთა მათ-  
დამი ქალაქათათვს რომელნიცა მათ შინა მოიხსენ-  
ებიან, ანუ რომელ ესე ვითაროი შერთულობითი  
აღწერა სასარგებლო არს გულის ხმის უოფისათვს  
ლეოღრაფიულის მოვიდებულობისა: გარნა ესე ვი-  
თარანი საგანნი, ვითარცა კერძობით განკუთვნილ-  
ნი ლეოღრაფიისადმი ახლისა აღთქმისა, დანიშ-  
ნულ არიან ვარსკუთავითა.

4.

უმთავრესნი სამთავრონი, რლსა წა ქალაქნი მათ  
ქუზუანანი. უმთავრესნი ქუზუანანი შინა ყოფილ  
ვანიყოფებოდენ. ნი.

ე ვ რ თ ვ ა ს ა შ ი ნ ა.  
სვანია.

იგალია . . . . . { რომი, აწიოფო-  
რესავაჭრო, პონ-  
ტო-ღლე, რეკონ.

ილირ- { 1) \* ლიბურნია.  
იკია. { 2) დალმაცია.

შაკელონია. { თესალონიკე, იე-  
რანოლი, ფილიპე,  
ამფიპოლი, ანთ-  
ლონის, ბერია,

საბერ- { 1) \* ეპირ - - ნიკოპოლი.  
ძნეთი. { 2) \* თესალია.  
ანუ { 3) \* ელლადა. - ათინა  
ელლად- { 4) \* პელოპონი.  
და. { სადაცაიყო აქაია.

უძთავრესნი სამთავრონი, რღსა ზა ქალაქნი მათ  
ქუჭუანანი, უძთავრესნი ქუჭუანანი შინა ყოფილ-  
განიყოფებოდენ. ნი.

ა ს ი ა ს ა შ ი ნ ა.

ასია.  
წოდებუ-  
ლი მცო-  
რედ.

- 1) შისია. { გროადა, ასსონ,  
თვატირი, პერლამ.
- 2) ფრიგია. { იერაპოლი, კოლა-  
სე, ლათრიკია.
- 3) \* ლუდია. { ფილადელფია, სარ-  
დია, სმირინი, ეფე-  
სო, გრონგულია.
- 4) \* კარია. { მელიტონ, კნიტონ.
- 5) ლუკია. { შირო-ლუკიისა,  
პატრა.
- 6) ჰამფილია. { პერგე, ატალია.
- 7) შისილია. { ანგიოქია ჰისიდიისა.
- 8) ლუკკათნია. { ლუსტრა, იკო-  
ნია, დერბე.

უძთავრესნი	სამთავრონი, რღსა	ქალაქნი მათ
ქუზუანანი.	წა უძთავრესნი ქუ-	შინაყოფილ
	ზუანანიგანიყოფებ-	ნი.
	ოდენ.	

9) კილიკია • • • • • ცარსუ.

- 10) კაბხაღუკია •
- 11) პონტო •
- 12) გელატია •
- 13) შაფლალონია •
- 14) ბითუნია •

ასურ-  
ასგა  
ნი.

- { აბილინე •
- { ფინიკია •

{ ანგიოხთ, სელ-  
ეკვია, დამასკე.  
გვროსი, სიდონი

- I) გალი-
  - ლია •
    - { სემო { კესარია ფილიპუ-
    - { ქუზ- { სი. პეტოლემაიდა.
    - მო { გიბერიას, კაპერნა-
    - { უმ, ქორაზინ, ბე-
    - { თსაიდა, კანა, ნა-
    - { სარგოთ, ნაინ.

უმათავრესნი სამთავრონი, რლსა წა ქალაქნი მათ  
ქუზუანანი. უმათავრესნი ქუზუანანი შინა ეოფილ-  
განი ეოფებოდენ. ნი.

2) სამარია.

{ სამარია, სჯქემ, ანუ  
სუქარ, ანგინაგ-  
რია, სალომ, ენონ.

3) იუდია.

{ იერუსალიმი, ბე-  
თანია, ბეთაგე, ემ-  
მაუს, ბეთლემ, იე-  
რიქო, რამა, ეფრა-  
იმ, იოზაბე, ჯაზია,  
არიმათია, ასოტი,  
გასა.

იუდ-  
ია  
ანუ  
ალთქ  
მის  
ქუზუ-  
ანა.

4) წ ი ა დ ი თ რ დ ა -  
ნე, ანუ პერეა,  
რომლისადმი შეერ-

{ ბერბესა, გადარა,  
დალმანუთა, ძაგდა-  
ლო, ბეთაბრა.

თებული იუნენ გრაქ-  
ონი, იგვრია, და სხუანი.

5) იღუპია.

უმთავრესნი- სამთავრონი, რღასა წა ქალაქნი მათ  
ქუჩუანანი. უმთავრესნი ქუჩუანა- შინაყოფილ-  
ნი განიყოფებოდენ. ნი.

- 1) \* კლდოვანი რომელარს  
 არა. { მაღიაშისქუჩუანა.  
 ბია. { 2) \* მწირო.  
 3) \* ბედნიერი.

მესოპოტამია.

- \* ასურეთი. . . . . ნინევი.  
 \* ქალდია. . . . . ბაბილონი.  
 პართი.  
 მიდია.  
 ელამ.

ა ფ რ ი კ ა ს ა შ ი ნ ა.

ეკიპტუ.  
 ლიბია.

5.

სიმკვლევესა შინა სივრცისასა შეიკუმნ თვს  
შორის სემოაღნიშნულნი ესე საგანნი სდრჳათა  
და ჭაღაკათა თვსით ქალაქებითურთ.



სღუანი. ჭაღაენი. ქაღაქნი.

ჭაღავთანი

1\* ევქსინის პონგო. რომელს არს აქ შავი სღუა.

2\* საშუალებად უნის სღუა, მოთხრობილი წ. შინა წე რილსა სახელთადი დის ზღვსათა; რომელსაცა რომელნიმე სშირად უხმობენ.

1) ადრი, ანუ ადრიაციის სღუა.

2)\* ედუის სღუა, რომელს არს აქ არხიპელაგო. 3) ჰამფილიის უფსკრული, და, 4) კილიკიის უფსკრული.

ეკროპისანი.

1) \*სიცილია. სირაკუსი.

2) ძელიგონი.

3) კრიტე. { სალმუნ. ლასია. უნიკე.

4) კლავდი.

5) სამუნთრაკე.

ასიისანი.

1)\* ლესბოს. მიგვილინი.

2) ქიონი.

3) სამუსი.

4) კონო.

5) ჰეგმოს.

6) როდოს.

7) კიპრე. { ჰაფო. სალმინ.

**აბილინე, ღაუკა, თავი 3, მუხლი 1.**  
 არა ვრცელი სამთავრო ასურას განისა, მეოთხე ვერ-  
 მოსავე შინა მისსა წოდებულს კელესირიად. ღე-  
 ჯესა მას შორის, რომელიცა განჭყოფს მთასა  
 ღიბანსა ან გიღიბანისაგან. უმსა გიბერიო-სის-  
 სა ქმნილ იყო იგი მეოთხე სამთავროდ, რომელ-  
 საცა ჰმართებდა ღოჯსანი ბე იროდისი. უპირ-  
 ველესი ქალაქი სამთავროსა ამის იყო აბილა,  
 მდებარე დამასვისაგან ჩრდილოდასავლეთსა  
 შერა.

**აღრაპიგანი, საქმ, 27, მუხ 2.** სდ-  
 ვსვიდის ქალაქი მცირისა ასიისა, რომელ არს  
 აწ ნაგოდია, მისიასა შინა ეოფილი.

**აღრი, ესრეთ წოდებულ არს სქემმოციქუ-**  
 ღთა შინა თავსა 27, ადრიატის სდჟა, რომე-  
 ლიცა აწ ცხად არს უმეცეს სახელისდებით ვენე-  
 ციის ღიმენად, მიძღები სახელისა თვსისა ქალა-  
 ქისაგან ადრისა, რომელსა ეწოდების აწ აგრი,  
 რა არს აწინდელისამებრ განუოფსა იგალიასა

შინა ნეანოლის სამეფოსა უშორესსა აბრუციასა  
 შინა, ქუჩაჲ 31°, 38', სიგრძისა. და 42°,  
 55', სიგრძისასა.

ასოციანუას დოც, ქალაქი პალესტინისა,  
 იუდასსა შინა ყოფილი მახლოდელსა საშუალოქუჩუ-  
 ნის ზღვსა. სადაცა ფილიპპე მოციქულმან, აღ-  
 ცაცებით მოუწყანებულმან ანგელოსთავან (ამას  
 ქალაქსა შინა) ჰქადაგა ესამ რავდენზე სიციუ-  
 ლმროთისა. საქმე: 8, მუხ: 40.

ათინა, ძუწლი ქალაქი საბერძნეთის სამთავ-  
 როს ელლადისა, რომელიცა იწოდებოდა ჰირუწლად  
 ცეკროპიად, აღშენებული ცეკროპის მიერ,  
 წელსა შინა 2496, და შემდგომ მრავალთა დრო-  
 თა შინა დიდებული უფროს სხუათა ქუჩუანათა  
 შორის საჭურჭლითა, სიბრძნითა ჰსჯულისათა,  
 უაღრესობითა კეთილგონებთა და ჰსწავლულგონებ-  
 თა, შუწნიერ სიციუათობითა და აღურიცხუწლითა  
 ხინებულთა გუამ თათა ყოველთა შორის ნათესავთა  
 ერთსა, აწ თუმიცადა აქუს მას ჰირუწლივე  
 ადგილის მდებარეობა თვისი, გარნა თითქმის არა  
 რამეა არს ვითარ იგი იხილგებოდა ჰირუწლსა  
 სიდიდესა შინა თვისსა და დიდ შუწნიერებასა. ხო-

ღია ღიფ-შუშნიერთაცანისა მარმარილო-ს შინერ-  
 ვაღსა გაძრისა, რომელი აღშენებულიყო პერიკ-  
 ღო-მისგან წელსა შინა 450 ვიდრე შობადმდე  
 ქრისტესსა, აწცა იხილვებიან დანაშთომთაცანნი  
 ვიდრე აქამომდე; და გამარი თევსეისა შეცუდილ  
 არს აწ გამრად წმიდის გიორგისად. საქმემო-  
 ციქულთას, თავ 17, მუხ 23, მოხსენებულარს,  
 რომელ იყო ათინას შინა გამარი რომელსაცა ზედა  
 წერილიყო: უცნაური ღმერთი. გარეგან ქა-  
 ლაქისა ამის იყო სამსჯავრო, წოდებული არიო-  
 ჰაგედ, მდგომარე ბორცუსა ზედა არესსა; და  
 მსასჯულნი მისნი იწოდებოდენ არიოჰაგელად;  
 ხოლო თანამდებობა მათი იყო ჰსჯა არათუ მხო-  
 ლოდ ძვრის-მოქმედთად, არამედ მათვსცა, რომ-  
 ელნიცა შეურაცხ-ჭუთფდენ ჰსჯულსა: და ამისთვის  
 მოციქული ჰავლე დასასჯელად, ვითარცა გარდმა-  
 ქცეველი ჰსჯულისა, მიუტანებულ-იქმნა არიოჰა-  
 გედ. საქმ: 17, მუხ: 19. აწ ქალაქი ათინა, იწ-  
 დების სეგინად ანუ ატინად, და შეადრგენს არა  
 თრად სახმარსა ადგილსა შორის ღივადიისა.  
 სიგრ. 41°, 55'. სიგრ. 38°, 5'.

ამფიპოლი, სჱქმ: 7, მუხ: 1. ქალაქი, რომელსა შინა განვლო მოციქულმან პავლე<sup>ო</sup> მიმავალმან თესალონიკედ, აწინდელისამებრ განუთფისა არს იგი თურქთა ევროპიისად მაკედონიასა შინა. სახელი ესე ამფიპოლი, არს ქართულის ენით, მოზღუდვილი ქალაქი: ვინაჲგან მოზღუდვლარს იგი მდინარითა სტრიმონისათა, რომელსა ეწოდების აწ ისვარ. ქრისტეანენი უწოდებდენ მას ქრისტეანეპოლიად, ხოლო თურქნი სახელჲსდებენ აწ ემპოლიად. სიგრ. 41°, 38'. სიგრ. 40°, 55'.

1) ანგიოხია, ძუწლი საცხატო ქალაქი ეოვლისა ასურასტანისა, მდგომარე ვიდესა სედათრონგის მდინარისასა, რომელიცა იდიდებოდა დიდ-შუწნიერებითა; და აწ ცნობილარს მხოლოდდა დანაშთომთა თვსთამიერ სახელსა ქუწუე ანტაკიონასა. იგი იუო საცხოვრებელი მრავალთა იმპერატორთა, და ჰირუწლი მისალოგოლველი ქრისტეანებრივისა სარწმუნოებისა. ამას ქალაქსა შინა იყუეს ჰირუწლიაჲ მოწაფეთა ქრისტესთა წოდებაჲ ქრისტეანედ. სჱქმ: 11, მუხ: 26. იუსტინიანემ განაახლარა ქალაქი ესე უწოდა მას თეოპოლიედ. იგი

იდიდების მრავალთა მას შინა ყოფილთა ვრებათა მიერ, და შობითაცა დიდისა მის ეკლესიის მოძღურისა იოანე თქროპირისათა. სიგრ. 54°, 10'. სივრ. 36°, 20'.

2) ანგიოხია პისიდიისა, ქალაქი რომელსა შინა პავლე და ბარნაბა ჰქადაგეს სასარება. საქ: 13, მუხ: 14, მეოფი მცირისა ასიისა პისიდიასა შინა, სამთავროსა შეერთებულსა ჩრდილოდ ვერძო პამფილიისა, აჲ ცხადარს იგი სახელით ვერსაკად.

შენიშვნა, ძუწლად მრავალნი იუენენ ქალაქნი, რომელნი იწოდებოდენ ანგიოხიად: არამედ მათ ყოველთა თვს, თვნიერ ორთა ამათ; არა მოხსენებულარს ახალსა აღთქმასა შინა.

ანგიპატრიდა, ქალაქი პალესტინისა, სამარიასა შინა, რომელსა ზედა წარუყუანებულ-ქმნა პავლე, ცალათა მიერ ოთხასთა მხედართასა, დაცვთ-წარდგენისათვს მისისა კესარიასა შინა, საქ: 23, მუხ: 31. იგი მდგომარებდა ჩრდილოდ ვერძო მახლობელ იოპისა, საშუალქუწუნის ზღვსათანა. მოთხრობისამებრ იოსებ ფლავიანესსა (\*)

(\*) ძუწლობითი წიგნი 16, თავი 9.

მთ-სდუდჯლ-იყო იგი მდინარითა და ტუითა დიდითა,  
ხოლო აღშენებულ-იყო იროდის მიერ და  
წოდებულ ან გიზატროდ ჰატივად მამისა მისისა  
ან გიზატროსისა.

**აპპიოტორე სავაჭრო,** არა ვრცელ-  
იდაბა, ანუ მცირე ქალაქი იტალიისა, აპპიოტორის  
ცხასა ზედა, ეოფილი საშუალ ქალაქთა რომისა  
და აჩინდელისა ცერრახინისათა, ამისთვის წოდებულ  
არს ესრეთ, რომელს მას შინა ხინებულ-იყო სლვა  
სავაჭროდ. მახარებელი ღოუკა მოუთხრობს, ვი-  
თარძედ მიმდებელთა განნი ქრისტეანებრივისა სარწ-  
მუნოებისანი, გამოვიდნენ რომით მიგებებად ჰავ-  
დე მოციქულისა ვიდრე ამა ადგილადმდე. საქ: 28,  
მუხ: 15.

**აპპოლონია,** ქალაქი მაკედონიისა, რომ-  
ელსა ზედა წარვლო ჰავლემ, მიმავლმან თესალო-  
ნიკედ. საქ: 17, მუხ: 1. ესე დიდებული დროსა  
შინა რომაელთასა სწავლულებითა, აწ ცხად-არს  
სახელით პოლლინად თურქთა ევროპიისა ად-  
ბანიასა შინა, და იპოების უხმარს ადგილად. სიგრ,  
37°, 15'. სიგრ. 41°, 20'.

არაბია, მდებარებს სამუალო არაბიის ლი-  
მენისა, ანუ მქსამულისა ზღვსა, აღმოსავლეთით  
უკეანისა და სპარსეთის ლიმენისა; ხოლო ჩრდი-  
ლოდმი შეერთდების ქალაქას ასურასგანსა და  
პალესტინეს. იგი განიყოფების კლდოვანად,  
მწირად და ბედნიერად. 1. კლდოვანი არა-  
ბია ბევს სამსლუართა ზედა ეგიპტისა და პალესტი-  
ნისათა, რომელმანცა მიიღო სახელი წინასწარისა-  
გან უმთავრესისა ქალაქისაგან თვისისა პეტრესა,  
რომელ არს კლდე. ამას ვერძოდა შინა მწი-  
რობდენ ისრაილნი ორმოცწელს, შემდგომად გა-  
მოსლვსა მათისა ეგიპტით. თვთ ამასვე არაბ-  
იასა ზედა, იოსებ ძარბამითურთ და ურმით იე-  
სოსით შთავიდენ ეგიპტეს შინა. გარდა ამისა  
არს აქა ღირსი ხსოვისა მთა სინამ, რომელსა  
ზედა მოსცა ღმერთმან მოსეს ჰსჯული.

2. მწირი არაბია ბევს ვერძოდ სპარ-  
სეთის ლიმენისა სპარსეთისთანავე შეერთებით. უმე-  
ტესი ნაწილი მისი არს ვაკე, გარნა უნაყოფო-  
ვინაგან მცირედცა არიან მუნ მცხოვრებნი, ამი-  
სთვის წოდებულ არს მწირად. ამას ადგილსა  
შინა, ვითარცა იტყვიან, ჰსცხოვრებდა ძარბალი



იოზ: და ამიერითგანვე წარმოვიდგენ სამნი მო-  
გუნნი თაუჟანის-საცემელად ბეთლემს შინა შო-  
ბილისა ქრისტესსა.

3. ბედნიერი არაბია ჩრდილოდმართს  
მოსამსღურე ქირისა და კლდოვანისა არაბიისა,  
და სხვთ ვერძო მორთხმულ არს ზღვთა. იგი  
არს ნაყოფის მომცემ და გამოძლებელ უფროს  
ქირისა და კლდოვანისა, და ამისთვის წოდებულ  
არს ბედნიერად. მოციქული პავლე შემდგომად მო-  
ქცევისა თვისისა ქრისტეანობისადმი, მივიდა არა-  
ბიად, სადაცა დაჰყო სამწელ და ჰქადაგა სახარება.

გალატ: 1, მუხ: 17.

არეთპატე, ახილე აღწერასა შინა ათი-  
ნისასა.

არიმათია, ქალაქი პალესტინისა იუდაი-  
სა შინა მეთოფი ჩრდილოდ ვერძო იერუსალიმისა,  
მახლობელ ქალაქსა დოკაისასა. იგი არს მამული  
იოსებისა, დამფლველისა კორცისა ქრისტესისა,  
ლუკ. 23, მუხ: 51.

ასია, რომლისაგა სახელითა გულისხმა ჰქუ-  
ნეს რომაელთა აწინდელი ნაგოლია, იწოდებოდა  
მცირედ ასიად, განსხუაებისათვის ღიღისაგან

ასიისა შემადგინებელისა მრთელის ნაწილისა  
 საქუმბენოსა სფერო-მსა, და განყოფილებოდა იგი  
 რაოდენმესამთავროდ რომელთაცანნიდირსნიხსო-  
 ვისანი არიან ესენი: მისია, ფრიგჯა, ლუდია,  
 კარია, ლუვია, პამფილია, პისიდია, ლუ-  
 ვათონია, ვილივია, კაბბადუვია, პონტო, კა-  
 ლატია, პატლადონია, და ბითვნია. ვითარ იგი  
 იხილვების საქმემოციქულთა თავსა შინა 2, მუხლსა  
 9, და 10, სახელსა ქუმბე ასიისასა არა იგულს-  
 მებიან უოველნი ესე შემოხსენებულნი სამთავ-  
 რონი: ვინაჲგან, ოდეს ითქმის: კაბბადუვიასა,  
 პონტოსა და ასიასა, ფრიგჯასა და პამფი-  
 ლიასა შინა: მაშინ ასია ხარმოდგებისამას მოთხ-  
 რობასა შინა ეგრეთ ვითარცა სამთავრო სხუათა სამ-  
 თავროთა თანა მცირისა ასიისათა თანასწორად.  
 მაშა სადამე ამას და სხუათა ადგილთა შინა  
 ახლისა აღთქმისათა მოთხრობილი ასია ცნო-  
 ბად სათანადო არს მცირედ ასიად, საკუთრად  
 ესრეთ წოდებული (\*). მსოფლიოთა ქუმბენის  
 აღწერათა შინა, ანუ უმჯობეს არს თქმად, ლუ-

(\*) კლუვერ. წიგ: 5, თავ. 18.

დიისათა, რომელიცა არს ესე უპირველეს სამთავროდ ასიისა; ვითარ იგი ჰქმნეს უფალმან რომერტ და ჟოლიმ, რომელთაცა დანიშნეს თვისთა ქუზენის აღწერისა ნახასთა შინა, დაჩესებულნი საქმემორტიქულთა შორის, ნაცულოდ ლუდიისა, ასია.

ასსონ, საქ: 20, მუხ: 13. სღვისვიდის ქალაქი მცირისა ასიისა მეოფი მისიასა შინა. იგი იწოდებოდაცა ახლონია დ, ხოლო აწ ცხად არს სახელით ასსონდ.

ასურასგანი, მატ: 4, მუხ: 24. საკმაოდ განვრცელებული ქუზენა და აღმომაცენებელი უოველთა საჭიროთა სახმართა. ესე თუმცადა ჰირჟულთგანვე მრავალთა შეიტევდა თვს შორის საკუთართა სამთავროთა, რომელთაცა ქალაქთა სახელნი არიან; დამასკე, სოფენ, ლემატ, ლესსურ და სხუანი; გარნა ვინადგან იუზენ იგინი არა ფრიად დიდროანნი; ამის თვს ასურასგანიცა არა ეგოდენ ვრცელ-იყო, ვითარ შემდგომთა დროთა შინა. მმართველნი ამათ სამფლობელოთანი გინა მეფენი ჰყოფდენ მრავალგუარსა სედა-დასხმასა გარემოთა ერთასა, და

უფროსი ოსრილითა სედა; და იქმნებოდენ ოდეს-  
 მე მძლეველ და ოდესმე ძლეულ. უკანასკნელ  
 კელმწიფემან ასურეთისამან გელდაწელღასსარო  
 დაიპყრა ასურასგანი თვისსა კელმწიფებასა ქუ-  
 წუშე, შემდგომად შევარდა იგი მყრობელობასა  
 ქუწუშე სწარსთასა, ხოლო უკანასკნელ ჰმსთავრა  
 მას დიდმან აღექსანდრე<sup>ო</sup>. შემდგომად სიკუდი-  
 ლისა მისისა, და განყოფისა ბრძოლით დაპყრო-  
 ბილთა მათ ქუწუშეანათა მხედართ - მძღუანველთა  
 შორისა, ასურასგანი დაჩესებულ - იქმნა საკუ-  
 თრად საკელმწიფოდ, რომელიცა განვრცელდებოდა  
 ეგიპტითგან ვიდრე მდინარემდე ევფრატისად,  
 და საშუალქუწუშენის სღვითგან ვიდრე არაბი-  
 ადმდე. შემდგომად განვლისა 247 წლისა უფ-  
 ლებასა ბერძენთა მეფეთასა ამას ქუწუშეანასა  
 სედა, რომაელთა, დაამორჩილეს იგი, თვისსა ძლე-  
 ვა შემოსილსა საჭურველსა, მხედართ-მძღუანვე-  
 ლობითა ჰომპეტოსისათა, და მიაქციეს იგი სამფ-  
 ლობელოდ რომისად. უკანასკნელ, შემდგომად  
 მფლობელობისა რომაელთა და საბერძენეთის  
 აღმოსავლეთის იმპერატორთასა, არაბიის სა-  
 ლიფათა და ეგიპტის სულთანთასა, შთავრდომილ-

იქმნა ასურასგანი კელთა შინა თურქთასა, რომელთაცა, განავრცეს უდიდესად სამსდჳარნი მისნი, და აწცა ჰმსთავრობენ მას. აწ უკუშ ეწოდების მას სორისგან ანუ სორია, და განუთფილარს სამად საფაშაღულოდ, ანუ თურქთა სანაიბოდ.

აგგალია, საქ: 14, მუხ: 25, რომელარს აწ საგალია ნაგოლიასა შინა, ქალაქი ზღვისვიდისა, შეერთებული ზირუშლად ჰამფილიისადმი ასორის სამთავროდსა, რომელმანცა მიიღო სახელი თვისი აგგალისაგან ფილაფელფისა აღმაშენებელისა თვისისა. აწ არს იგი ვრცელ და სავაიოდ კეთილად განმგვიცებულ. სიგრ. 48°, 46'. სივრ. 37°, 8'.

აქაია, სამთავრო საბერძნეთისა, საქ: 18, მუხ: 12. რომელიცა იწოდებოდა ზირუშლად იონიად, შეადგენდა უკუშ კერძოსა აწინდელისა შორეისასა მახლობელ ღუქანგის გოგისა. და ოდეს რომაელთა დაიპყრეს საბერძნეთი, მაშინ სამთავრო იგი რომისა, იწოდებულა მათგან აქაიად, შეიცევდა თვის შორის აქაიასა, ელლადან და ჰელოპონისსა ჭალავებითურთ. სოლო აწ

აქიაა დანიშნულებითა მით სამთავროებითა, თუ-  
ნიერ ჰელთპონისა (ძორეისა) იწოდების ლი-  
გადიად.

აღთქმის ქუჩუანა, რომელიცა წოდე-  
ბულ-არს წმიდასა შინა წერილსა სხუა და სხვათა სა-  
ხელითა, ესე იგი: ქუჩუანად ქანაანისად, სქ: 7,  
მუხ 11, და 13, მუხ: 19. ქუჩუანად ისრაილი-  
სად, მატ: 2, მუხ: 20. იუდიად ანუ ჰური-  
სტანად, სქ: 2, მუხ: 9. ხოლო ძეისგორიეთა-  
გან პალესტინედ, და ქრისტეანეთაგან წმიდად  
ადგილად. თუმცაღა თვთარა არს იგი ვრცელ, ვი-  
ნადგან სიგრძითა არს ვიდრე სამას ვერსადმდე \*, და  
სივრცითა ნახევარ მისსა; გარნა არს ფრიად  
დირსი ხსოვისა. ქუჩუად სახელად მისსა იუთ-  
ქანაან, ქანაანის გამო მისა ქამისა მცხოვრე-  
ბისა მას შინა. შქ: 12, მუხ: 5. თქესცა  
აბრამ ქუჩუანისაგან სენარისა, სახელ-დებუ-  
ლისა სხუზბრ ქალდეად, გარდასახლდა ამას ქუჩ-  
უანასა შინა; მაშინ განვრცელდებოდა იგი ფი-

---

\* ვერსტი იზერობს 500 საუენსა, ანუ 1500  
რუსულს ადლს, გინა ნაბიჟსა.

ნიკიის სასლურიდგან ვიდრე არაბიადრე, და  
 ოორჯანის მდინარიდგან ვიდრე საშუალო-ქუზუნის-  
 სლურადრე. თვთ ქუზუნა ესე აღთქმულ-იყო  
 ღმრთისაგან აბრაამისად, შემდგომად ისააკისა  
 და იაკობისად და ნათესავთა მათთა. და ოდეს  
 იგი უამსა სიცოცხლისასა მამათ-მთავრისა იაკო-  
 ბისსა გარდასახლდენ ისრაილნი ეგიპტად, და  
 შემდგომად გამოუყანებულ-იქმნენ იგინი მუნით-  
 გან მოსეს მიერ; მამინ მკედართ-მძღუანურ-ლო-  
 ბითა ისუნავესითა შევიდენ იგინი ამას ქუზუნ-  
 ნასა შინა, განვლითა ოორჯანის მდინარისათა  
 აღმო-სავლეთით ვერძო მისსა, და დაიპერეს იგი,  
 სადაცა ჰპოეს მცხოვრებნი ქანანელნი, ამმორე-  
 ველნი, გერგესეველნი, ეფიტელნი, ფერესელნი,  
 იებოსელნი და მესობელნი მათნი წილისგი-  
 მელნი; შემდგომად აღმო-ფხურნეს და შეაიწრნეს  
 უმეტესი ნაწილი მათი, და განავრცეს მათ თვი-  
 სითა ბრძოლით დაპურობითა ქუზუნა ესე უმეტეს  
 ვერძოთა ათანა ეგიპტისათა, ხოლო უვანასკნელ  
 ფრიად უშორეს და გაღმა ოორჯანის მდინა-  
 რისა.

შემდგომად დაჯერობისა აღთქმის ქრისტიანისა  
 ისრაილთაგან, იწოდებოდა იგი ქრისტიანად  
 ისრაილისად, და განუთფილ-იუო-ათორმეტ  
 გომად ისრაილისად, ესე იგი; გომად იუდა-  
 სად, ღანისად, სიმეონისად, ბენიამენის-  
 სად, ეფრაიმისად, მანასესად, ისახარის-  
 სად, საბულონისად, ასერისად, ნეფ-  
 თალემისად, რუბენისად, და გაადისად:  
 ამათგანნი ორნი ესე უკანასკნელნი გომნი და  
 ნახევარი მანასესნი დაშთენ აღმო-საგლეითთ ვერ-  
 მო-ორიდანისა, და სხუანი განვიდნენ დასავლე-  
 თით ვერმო მისსა, და დაესახლნენ მუნ. შემდ-  
 გომად სიუუდილისა ისუნავესისა, დაიდგენდენ  
 იგინი მმართველობისათვის საქმეთა თვისთაჲსა მსას-  
 ჟუღთა, რომელნიცა სიმხნითა თვისითა იტევდენ  
 მათ, ზედა-დასხმისაგან გარემოთა ერთასა: ესე იგი,  
 მოაბიგელთაგან, ქანანელთა, მადიამელთა, ფილი-  
 სტიმელთა და შუამდინარის მეფისაგან: შემდგომად  
 არა ვმაქმნილთა ესრეთითა მმართველობითა, აღადგი-  
 ნეს მათ მეუობა. მეფენი, საულ, დავით და სო-  
 ლომონ, მეუობდენ უოველსა მას ზედა ქრისტიან-  
 სა. უკანასკნელსა ამათგანსა აქუნდა ხელთა შინა



თვისთა ბრძოლით დაჯერობილი მამისა მიერ მი-  
 სისა ვიდრე ევერატის მდინარეჲმდე, და მსთავ-  
 რობდა ეოველთა მათ სამეკვიდრებელთა, რომე-  
 ლიცა აღთქმულ-იყო ღმრთისა მიერ ისრაილთა  
 ერთადმი, ესე იგი, მეჩამულის ზღვიდგან, ვიდრე  
 ფილისტიმელთ ზღუემდე, და უდაბნოთგან კლდო-  
 ვანისა არაბიისათა, ვიდრე მდინარეჲმდე ევერატ-  
 ცისა (\*): ხოლო უმჯობესისა წარმართებისა თვს  
 სამეფოთა შინა მმართველობისა, განჯყო მან ეო-  
 ველივე იგი სივრცე ქუზუანისა ათორმეტად  
 სამთავროდ, და დაადგინნა თვთოეულსა მათგანსა  
 ზედა საკუთარნი მმართველნი. 3 მეფე: 4, მუხ  
 7, და შემდ. შემდგომად ხოლომონის სიკუდი-  
 ლისა განიყო ეოველი იგი ადგილი ორად სა-  
 მეფოდ: იუდიად და ისრაილად ანუ სამა-  
 რიად: ამათ სამეფოთა აქუნდათ ხშირადი ბრძოლას  
 მესობელთა მეფეთა თანა, რომელნი უკანასკნელ  
 დაირღუწნცა, სამარია უკუზ ასურეთის მეფის  
 სალმანსარის მიერ, და შემდგომად მისსა განვ-  
 ლორა ასოცმან წელმან ბრძოლავილ-იქმნა იუდ-

(\*) გამოხლ 23, მუხ 31.

იაცა, და ერნი ისრაილთანი წარუყენებულ-იქმ-  
 ნენ ცუტად შაბილოვნად, რომელსაცა შინა და-  
 ჭუტს მათ სამეოც და ათქელ. არამედ კიროზ<sup>მ</sup>  
 მონარხმან \* სვარსეთისამან განუცევნა ის-  
 რაილნი ცუტობისაგან შაბილოვნისა და მისცა  
 მათ უოველივე შემწობა გარდასახლებისათჳს  
 მათისა აღთქმის ქუტყანასავე შინა. ღროსა  
 განთავისუფლებისა მათისასა ცუტობისაგან,  
 იწოდა იგი იუდიად, ამისთვის რომელ, უმრავ-  
 ლესი ნაწილი უკუნქცეულთა ცუტთაგანნი, იუჟ-  
 ნეს ცომისაგან იუდასსა, და შეიცვოდა მხო-  
 ლოდ საშუალქუტყენის ზღვსა შორის და იორ-  
 დანის მდინარისა, და განუოფილ-იყო სამად სამუ-  
 ლობელოდ: იუდიად, სავუთრად ესრეთ ხო-  
 ჳებით, გალილიად, და სამარიად; ხოლო  
 წიად-იორდანისა ვერბოდ, ანუ პერიას,  
 ეტრეთ ვითარ იდუმიას, შეერთებულ-იქმნენ მის-  
 დამი დიდისა იროდის მიერ. მიახლებული ვიქ-  
 რე 400 წაადმდე იუდაას არმექონ-იყო თვისად  
 მეფეთა, არამედ იყო მმართველობასა ქუტუე

\* მეფე, ანუ ერთმთავარი.

მღუდელთ-მოდღუსართა და მოხუცებულთასა. ალექსანდრე დიდი აღვიდარა ასიად, შევიდა იუდიასაცა შინა, რომელიცა მოექცა მას სიმდაბლით. შემდგომად სიკუდილისა ალექსანდრესსა, მეფენი ეგიპტისა და ასურასგანისანი, ფრიად ფიცხელად მოექცენ მას; ვინაჲგან იგინი უოველგან, უოველსავე, რაჲცა მათ შესუდებოდათ, ჰსცუენნივიდენ, იკლებდენ და აოხრებდენ.

ხოლო განზინებისათჳს ესე ვითართა უბედურებათაგან, შთამომავლობანი მაგათა იუდიანთა მღუდლისანი, წოდებულნი მაკაბელად, აღვიდნენ მეფობითსა ღირსებასა სედა. და ვინაჲგან იყო მათ შორისცა მტეობა დიდი; ამის თჳს რომაელთა, მიიღეს თანხმობითა თჳთ იუდიანთათა, შინაგანთა მათთა განუსუწმებლობისა გამო, თანა შემწეობა, და დაიხურნეს იგინი პონტეოზის მიერ მფლობელობასა ქრწმე რომაელთასა, და შემდგომად ნებისამებრ თჳსისა განუჩესნეს მათ მეფენი: რომლითაცა ჰსწყულის დებითა ჰფლობდა უოველსა იუდიასა დიდი იროდი იდუმიელი. შემდგომად სიკუდილისა მისისა, აკვსტოსი კეისარმან რომისამან განუყო ქრწმეანა იგი მეთა

იროდისთა ესრეთ; არხელათს ვარდა იდუმი-  
 ისა მისცა იუდიას და სამარია, ანგიას გა-  
 ლილიას და ჰერია, ხოლო ფილიპეს გრა-  
 ქონი და იგვრია. შემდგომად მისსა, ოდეს  
 იგი მოავლო არხელათს ავსტოსმან ცახტი-  
 საგან თვისსა და წარგსავენა იგი ჰერობილად,  
 მაშინ რომაელთა წარგსავენეს მმართველობისა-  
 თვს იუდიასა შინა თვისნი მოადგილენი, რომელთ-  
 თაცა რიცხუთა შორის იყო პონტოელიცა პილა-  
 ტე, რომლისაცა დროსა აჟუარს-ეცუა ქრისტე.  
 შემდგომად განვლისა წლისა სამეოც და ათისა  
 შობითგან ქრისტესისა, დაირღუა სამეფო იუდი-  
 ანთა ყოველითურთ: ვინადგან, დროსა კეისრის  
 უესპასიანეს მეფობელობისასა, მემან მისმან და  
 მემკვდრემან ციტე, არათუ მხოლოდ ქალაქი იე-  
 რუსალიმი დიდ-შენიერისა გამრითურთ, არამედ  
 დაარღვია ყოველივე აღთქმის ქუჩუანაცა იგი, და  
 მისგამო ჰურიანი განეთესნეს ჰირსა ყოველისა  
 ქუჩუანისასა. შემდგომად ათხრებისა ამის, ყო-  
 ველივე იუდიანთა ქუჩუანა იქმნა მიტყეულ სამ-  
 ფლობელოდ რომისად, და ესოდა რომაელთაგან  
 პალესტინედ, საგონებელ-არს რომელ პალეს-

სტინელთა გამო ანუ სსუზბრ ჭილისტი-  
მელთა, რომელნიცა იუუნენ მათ მიერ ზირუზღვე  
ცხოზილნი. შემდგომად განყოფისა რომის მო-  
ნარხიისა, პალესტინე აღრიცხულ-იქმნა აღმოსავ-  
ლეთისაჲში იმპერიისა. ხოლო მეხუთესა საუ-  
კუნესა შინა განყოფილ-იქმნა იგი ერთად სა-  
ზაგრიარხოდ და სამად სამიგროზოლიგოდ: და  
ესე განყოფილება დატულ-იქმნა მეშვიდე საუკუ-  
ნოდმდე, ესე იგი, მას უამადმდე, ვიდრემდის სა-  
რაციანნი დაიპროზდენ მას. ხოლო ქრისტეანეთ  
დასავლეთისა ეკკლესიისათა მიუღეს იგი სარაც-  
იანთა 1099 წელსა შინა: და თუმცადა აღშენე-  
ბულ-იყო იგი საკუთრად ქრისტეანეთ სამეფოდ,  
გარნა არა დიდხანს დაჭყო მან, ვითარ მხოლოდ  
89 წელ: და შემდგომად ამისა ვუაღად დაიპროეს  
სარაციანთა პალესტინე 1188 წელსა შინა; ხო-  
ლო თურქთა განჭსდევნეს მისგან სარაციანნი  
1517 წელსა, და დასახლებულ-იქმნენ მას შინა,  
და მის უამითგან ვიდრე აქამომდე ჰმსთავრობენ  
მას.

წარჩინებულთა ცბათაგანნი მეოფნი პალეს-  
ტინესა შინა ღირსნი ხსოვისანი: 1) გენესა-

რეთის ცბა ანუ გალილიისა გინა ციბერის  
 ზღუა, 2) ასფაღგოს ცბა ანუ მკუდარი  
 ზღუა; ხოლო მდინარეთაგან ოორდანე, რომე-  
 ლიცა არს თვთ უკეთილესი მდინარე: გარნა უმე-  
 ტესი ვერძო ქუჭყანისა ამის ირწყვის მცირეთა  
 ხუროთა და კვეთა მიერ, რომელთაგანი უწარხი-  
 ნებულეს სხუათასა არს ნამუთა კვევი. გარდა  
 მისა იზოებთან აქა რიცხუნი მთათა ხინებულთან,   
 რომელთაგანნიცა უფროს უადრეს არიან, ვითარ-  
 იგი; ღაიბანი, ანტილიბანი, ერძონი,  
 თაბორი, და სხუანი.

წმიდასა შინა წერილსა მოთხრობილ არს  
 ქუჭყანა ესე გამომადინებელად ჰსძისა და თაფ-  
 ლისად. წინა აღმდგომ ამისა რომელნიმე სუბუქ-  
 მოწმუნენი იჭყენულებენ მისთვის, მიმხედველნი  
 აწინდელისა საგოდებელისა მდგომარეობისა მი-  
 სისანი, რომლისადმიცა მიწვენილ არს ვერძო ესე  
 ესოდენ მრავალითა სხუა და სხვთა ბრძოლითა  
 და დარღუჭვითა მახმედთანთათა: არამედ უტე-  
 თთ ვითარადცა უოფილადიუთს; ხოლო დარღუ-  
 ჭვისათვის არა მართლისა მგონებლობისა მა-  
 თისა შესაძლო არს თქმად, რომელ, არა-

თუ მხოლოდ იოსებ ფლავიანე (\*) იტყვს პალესტინისათვის; ვითარმედ არა რამე არს რომელთა მე ნაყოფთაგანი, რომლისაცა იგი არ შემდეგებელ-იუოს აღმოცენებად: არამედ დიოდორეცა სიცილიელი რაცხს ქრესტანასა ამას ვერძოდ ვითილ-მითუაღუღად; რჩეულად წყაროთა და კვივთა მიერ მანახებელთა მისთასა (\*\*). ამისდამი შეძინებად შესაბამ-არს ესეცა, რომელ ამჟამს მარტელინი თითქმის ესრეთითავე სახითა აღჰსწერს მას: უკანასკნელი, იტყვს იგი (\*\*\*), ასურას განისა სამთავრო პალესტინე, განყოფილ-არს ყოველით ვერძოდ ბორცუბითა, რომელთაცა სიამე და ნაყოფიერება შეუსწორებელ-არს სხუათადმი. და ესრეთ, ვინადგან თვთ წარმართნიცა მოწმობენ ვითილსა თვსებასა ამის ქრესტანისასა; მაშა სიამე სათანადო-არს დამტკიცებად, რომელ იგი არათუ თვსისამებრ მდებარეობისა აწ არს ცუდი, არამედ მისესისგამო აოხრებით დატყვევისა მისისა, და მტონარებისგან აწინდელთა მუნ მცხო-

(\*) In Appion. წიგნი I. თავი 8. (\*\*) წიგნი 4. თავი 2. (\*\*\*) წიგნი 14.

ვრებთასა უმუშავოდ დაშთომისა. აწ ჰალესტინე  
განკუთვნილ არს ასურასგანისადმი.

( ბ. )

ბაბილონი, საქ: 7, მუხ 43. უპირატე-  
ლესი ქალაქი ქალდიისა, აღშენებული თვთ მას  
ადგილსა სედა, სადაცა იყო გოდოლი ბაბი-  
ლონისა, რომელი იყო საგასგო ნებროთისა.  
შექმნ: 10, მუხ: 10. ერისაგანნი მესტორიენი,  
არა მექონნი ჭეშმარიტისა გამოძიებისა ებრაუ-  
ლის ისტორიისანი, არიან სხუა და სხუასა მგო-  
ნებლობასა შინა აღშენებისათვს ქალაქისა ამის:  
რომელნიმე მათგანნი მიაწერენ აღშენებასა მისსა  
ვილს, სხუანი სემირამიდას, ხოლო სხუანი ნა-  
ბუქოდონოსორს. არამედ უსარწმუნოესადრე ეო-  
ვლისა თქმად შესაძლო არს, რომელ, აღშენდა  
იგი ნებროთის მიერ, განდიდნა ვილისგან, ხო-  
ლო ვრუადა განვრცელდა უმეტეს და შეიძო-  
დიდშენიერითა შენებულებითა სემირამიდას მიერ  
და ნაბუქოდონოსორისა. ბაბილონისა მისთვს  
მთხსენებულ არს მრავალთა ადგილთა შინა ძუტ-  
ლისა ადთქმისათა, ხოლო საკუთრად წინასწარ-



მეტყუელებათა შორის ოსაიასა, იერემიასა ესე-  
ვილიასა და დანიილისთა. უკანასკნელისა ამის  
თავისა მიერ 4, მუხ, 27, ხილუად შესაძლო-არს,  
რომელ იუო იგი ფრიად ვრცელი და მტკიცე-  
კარნა ერთსა მხოლოდ დამტკიცებასა შინა ბა-  
ბილონის სიდიდისასა მეისტორიენი არა არიან  
თანხმანი ურთიერთარს. არამედ არა არს საჭი-  
როდ ცნობა და შესწორება უოველთა მათ სხუა  
და სხუათა მოთხრობათა მათთა: საკმაო-არს რო-  
მელიძე მოხსენება ესოდენ დიდებულისათჳს ქა-  
ლასქისა, რომელსაცა მოუთხრობს მოკლე აღწერა  
ღეროდოგისა, ვითარცა ესრეთისა მწერლისა,  
რომელიცა უოველსა შემთხუზვასა შინა მსახუ-  
რებს მართლ-წარმოიხენასა ვითარცა სიმუზლითა  
თჳსითა, ეგრეთვე მითცა რომელ, თჳთ იგი იმეო-  
ფებოდა მათ ადგილთა შინა. ბაბილონი, მოწმო-  
ბისამებრ მწერლისა ამის (\*), აღშენებულ-იუო-  
თთხკუთხედ სწორესა ადგილსა ზედა. სიმგრგუ-  
ლე მისი იუო 480 სტადიონი. სლუდენი ქალა-  
ქისანი, რომელთაცა აქუნდათ სიმაღლე 350, და

(\*) ღეროდოგ, წიგნსა შინა I.

სიზრქე, 87 წუგისანი \*, შენებულ-იუჟენ გ-  
 მომწუართა აგურთა მიერ, ფისით ცხებულთათა  
 ნაცულად კირისა. კოშკნი იუჟენ რიცხვთ ორას  
 ორმეტ-ც და ათნი; ხოლო ქალაქი მართხმულ-  
 იყო ღრმა თხრილითა წყლით სავსითა. თვით-  
 ეულსა კერძოსა შინა ქალაქის ზღუდეთასა იპო-  
 ბოდენ სწორესა შინა მდგომარეობასა, ოც და  
 ხუთ ხუთნი ვარნი, რომელნიცა იუჟენ ეოველ-  
 ნივე სპილენძისანი, და დაწყობილ ჰირის-ჰირ ერთ-  
 ნი მეორეთადმი ჰირის-ჰირ და შენებულთა ზღუდეთა  
 რომელთა შორის განკრძელებოდენ ქუჩანი. ქა-  
 ლაქი შაბილონი განყოფილ-იყო მდინარითა ეკ-  
 ფრატისათა ჩრდილო-ჰგან სამხრეთსა ზედა ორად  
 თანასწორად ნაწილად, რომელნიცა შეერთდებო-  
 დენ დიდ-შუშნიერითა და საკვრველ-ხელოვნე-  
 ბისა ხიდითა, სიგრძის მეჭონითა ერთისა სგადიო-  
 ნისათა. ხოლო ორსავე კიდესა ზედა მისსა იუჟ-  
 ნეს შენებულებანი მსგავსნი უდიდესთა ჰალატ-

---

\* სომა. ერთი საყენი რომელ არს რუ-  
 სული სამი ადლი, იპურობს თვის შორის შვიდს  
 ანგლიურს წუგს.

თანი. მახლობელ ერთსა მათგანსა ზედა, რომელს  
 არს აღმოსავლეთის კერძოსა, იყო აღშენებული  
 ცაძარი უილისა. ღეროდოგ (\*) აღჰსწერს მას  
 ეგრეთ, ვითარცა ეოვლად უსაკვრუნლესსა ეო-  
 ველსა შორის ქუნუანასა შენებულებისა კელო-  
 ვნებასა. იგი ქმნილ-იყო სახედ უდიდესისა გოდ-  
 ლისა, მქონებელი საფუძულისა ოთხ ვუთხედისა,  
 რომლისაგა თვთოეულსა მხარესა აქუნდა სიგრძე  
 თითო სტადიონი, და შეადგენდა იგი ვოშვთა რვა-  
 თა, აღშენებულთა ერთსა მეორესა ზედა. სტრა-  
 ბონ (\*\*\*) აღმწერი მისი უწოდს მას ჰირამიდად,  
 ამად რომელს, იგი ძირითვან შემცირებით განსუ-  
 ლილდებოდა თავსა შორის, ხოლო ნიშნავს სი-  
 მაღლესა მისსა ერთ სტადიონად. კოშვნი იგი,  
 რომელთაგანცა უდიდესი ესე შენებულება შედგე-  
 ბოდა, იყო არა რაჲმე სხუა, ვითარ, ზედას ზედას  
 სართულთ-ვნება მისი, რომელთა შინა შენებულ-  
 იუქნენ მრავალნი დიდნი სადგურნი. თვთ თავისა  
 ვოშვსა შინა იყო ცაძარი უილისა, რომელსა  
 შინა იყო მრავალი ანდრიანგი ოქროდსა. ესე

(\*) წიგნი: I, თავი, 181. (\*\*\*) წიგნი, 16.

ცამარი (\*) ყოველითა სიმდიდრითა მისითა მდგომარეობა ვიდრე ჟამადრე ქსერქსისა, რომელმანცა, შემდგომად ეგიპტის ბრძოლისაგან უბედურებით უკმოქცევისა თვისისა, დაარღვა იგი და წარცყუმნა ყოველივე მას შინა მდებარე საუნჯე. აწ დაშთების მოთხრობა დამოკიდებულია თვის მგილთა ბაბილონისათა, რომელნიცა ირიცხვოდენ რიცხუნთა შორის შვიდთა ქუმუნის საკვრველებათასა. ოგინი დაშენებულ-იუნენ სუმტთა და ვამართა ზედა, და შეიტავდენ თვის შორის მრავალ-გუართა ნერგთა, უნავილთა, ბუჩქთა და მცენარეთა, რომელთაცა მოსარჩევაად შეგანილ-იოწყაალი ევფრატისაგან, სოლინართა ანუ ცუნბოთა ძლით. წმიდასა შინა წერილსა არა რამე მოხსენებულ-არს ამათ ყოველისა ქუმუნისა განსაკვრვებელთა მგილთა თვის, გარნა მხოლოდ მეწნთა მათ თვის, რომელთა ზედა მსახურთა ცამარისა უფლისათა, ჟამსა წარცყუმნვისა მათისასა, დამოჭიდნეს სამწუხარონი თვისნი საცალობელნი.

ფსალ: 156, მუხ, 2. ხოლო უკანასკნელ ესე

(\*) ღითორე სიცილიელის წიგნი, 2.

ვითარს მალალი და აღმატებული ქალაქი, წინასწარ-მეტყულებებისა მეზრისათვის, თავ: 6, მუხ 1, 2. და შემდეგ: მუნადმდე იქმნა მიხევენილ, რომელ აწ თვთ ნანძულ ადგილიცა იგი, რომელსაცა ზედა დაშენებულ-იყო ცნობადცა შეუძლებელ-არს. ღიად ჰსტყებიან იგინი, რომელნიცა აწინდელსა დადრადსა რაცხუწნ ბაბილონად: ვინადგან ბაბილონი იყო ძრინარესა ზედა ევფრატისასა, ხოლო დადრადი ძევს ძრინარესა ზედა ტიგრისსა. ჰგოლომეოს დასრებს ბაბილონსა, ქუწუე 79°, სიგრძ: და 38°, სივრცისასა.

ბეთაბრა, ითან: 1, მუხ, 28. ქალაქი ჰალესტინისა წიად-ოორდანესა, სადაცა წინამორბედმან ითანე° აღასრულა ნათლის-ღება. რომელნიმე ბეთაბრას, რომელ-არს ებრაელის ენით სახლი გამოხლავს, რაცხუწნ თვთ მას ადგილად, სადაცა ისრაილნი განვიდენ იორდანესა წინამძღუანველობითა ისუნავესითა.

ბეთანია, დაბა განშორებით ძვგომარე იერუსალიმიდგან ათხუთმეგითა სტადიონითა ძირსა თანა სეთის-ხილის მთისასა. ძარვ: 11, მუხ: 1, რომელიცა ქრისტემან, ხშირად მისლავითა მეგობ-

რისა თვისისა ღრასარეს თანა და დათა მისთაძმი  
 მცხოვრებთა მას შინა, და უფროსადრე აღდგინე-  
 ბითა ღრასარესითა, ჰყო იგი ხინებულად. მუნ  
 აწცა იხილვების საფლავი ღრასარესი, რომელიცა  
 არა რამე არს სხუა, ვითარ აღმორეწული  
 მღვმე ვლდესა შინა, სადაცა შთავლის ოც და  
 შვიდი ტერფი.

ბეთბაგე, მაგ: 21, მუხ. 1. მცირე და-  
 ბა დაშენებული მთისაძმი სეთისხილისა, აღმო-  
 სავლეთით კერძო მასსა. ამა ბეთბაგის გვისა  
 მიერ აღვიდა მაცხოვარი დღესასწაულობით იე-  
 რუსალიმად, იჟდარა ვიცუსა ვარაულისასა, რომ-  
 ელსაცა წინაუძღოდეს ერნი ბაიათა და რგობებითა  
 და დაგებითა სამოსლისათა და გალობითა ესრეთჲ  
 ოსანნა კურთხეულარს მომავალი სა-  
 ხელითა უფლისათა.

ბეთლემ იუდასი, მაგ: 2, მუხ. 1.  
 ქალაქი მდებარე მახლობელ იერუსალიმისა, რომ-  
 ელიცა აწ არს ვითარცა ერთი დაბათავანი, არა-  
 მეფ იდიდების მით, რომელ ქრისტე იშუა მას  
 შინა. ქალაქი ესე იწოდებოდა ბეთლემ იუ-  
 დასად, ანუ სხუწმბრ ეკვრათად, მიქეა 5, მუხ.

2. განსხუადებისათვის სხუა ქალაქისაგან ბეთლე-  
მისა წილ-ხლომილისა გომისადმი საბულონისა.

**ბეთსაილა,** ქალაქი პალესტინისა, ქრ-  
მოსა გალილიასა შინა ეოფილი, დასავლეთის ვი-  
დესა ზედა ზღვსასა, მამული მოციქულთა პეტ-  
რესი, ანდრია და თილიპესი, იოან : 1, მუხ,  
44, და 45, რომელიცა აწ არს მცირე სოფე-  
ლი თურქთა. აქა მიმადლა ქრისტემან ბრძანა ხე-  
დუა. მარკ: 8, მუხ, 22, და შემდ. მას ადგილსა  
ზედა, სადაცა იყო სახლი პეტრე მოციქულისა,  
იბოებისან დიფროანნი ნაქცევნი გამრისანი, წმი-  
დისა ელენას მიერ აღშენებულისანი.

**ბერია,** ქალაქი მავკდონიისა, რომელსა შინა  
ქქმნეს ჭურითა აღშფოთება, წინა აღმდევ პავლე მო-  
ციქულისა, საქ: 17, მუხ, 13. აწ იწოდების იგ-  
კარრავერიად. სიგრ. 40'. სიგრ. 40°, 27'.

**ბითესლა,** იხილე, ცხოვართ საბა-  
ნელი.

**ბითონია,** პირუტლად სავუთარ მცირე  
სამეფოდ ეოფილი მცირესა. ასიასა შინა, და  
შემდგომად სამთავრო რომელიცა შეადრგენს აწ  
ხრდილოეთით ვერძოსა ნატოლიისასა, ვიდეთ

თანა შავისა და მარმარილოს ზღვისათა. მოცი ქუ-  
 ღასა წმიდასა ჰავლეს აქუნდა განზრახუა მისღვისა  
 ამას შითვნისა შინა შითხრობისათჳს სახარებისა;  
 არამედ არა უტევა იგი სულმან ღმრთისამან.  
 საქ: 16, მუხ, 6.

## ( 6. )

გაღარინი, ოდესმე ჩინებულ ქალაქად  
 ყოფილი ჰალესგინესა შინა წიად ოთრდანესა.  
 ამის სახელის გამო იწოდების კერძო გადა-  
 რინელთა, მარკოზის თავსა 6, მუხ: 1. და  
 ღრუკ: თავ 8, მუხ: 26. ხოლო მაგთე, თავ: 8:  
 მუხ: 28. სახელჳსდებს მას კერძოდ კერგას-  
 სეველთად, ქალაქის გამო კერგასისა. ეს-  
 რეთი განსხუავება სახელისა, ერთისა და მისვე  
 კერძოდასა უეჭუნლად შეხუდა მისგან, რომელ  
 ვითარ იგი შემოხსენებულნი ქალაქნი იუუნენ ერთი  
 მეორისაგან მახლობელ მდგომარენი, ეგრეთუნლ  
 ხეობანიცა მათნა იუუნენ განუყოფელნი; ამისთჳს  
 თჳთ მასვე ადგილსა რომელსაცა უწოდს მაგთე  
 კერგასეველთად, მასა მარკოზ და ღრუკაცა



შემდეგელ-იუენენ გარეთურ წოდებად კარა-  
რინ ელთად.

გასა ანუ ღაშა, საქ: 8, მუხ: 26.  
 სღვს-ვიდის ქალაქი პალესტინისა მეოთხე იუ-  
 დიასა შინა: რომელიცა იყო თქვსმე ფრიად ღი-  
 ნებულს, ხოლო უმეტეს საქმითა სამსონისათა და  
 მისითავე სიკუდილითა. პირურად დაწებითგან  
 იყო იგი მთავრობასა ქრისტე ძილისტიმელთასა.  
 ხოლო ალექსანდრე დიდმან, მოწყულომან წყო-  
 მასა შინა ღაშელთასა, ბრძანა დაქტევს მისი; გარ-  
 ნა ქალაქმან ამან დაიკურს ვიდრე აქამომდე ძველი-  
 ვე სახელი თვისი, მინიჭებული მისდა, ვითარცა  
 იტყვან, მიხვზისგამო, კამბიზის მიერ დაშთომი-  
 ღისა მას შინა საუნჯისა თვისისა: ვინადგან  
 სპარსნი, მოწყობისამებრ ვურციოხისა, საუნ-  
 ჯესა უწოდებენ ღაშად. აწინდელი ღაშა გან  
 ეოთვილ არს ორად ნაწილად; მურლად, რომელიცა  
 ქსრვას მადალსა ზედა ადგილსა, და ახლად, წო-  
 დებული სხურბრ ძიიუმოდ, მდგომარე არს  
 ქრისტომორე სღვს-ვიდესა ზედა, რომელიცა არს  
 ნავთ-სადგურად. აწ არს ღაშა ფრიად შემცირე-  
 ბულ; არამედ მიხვრვსამებრ დარღურულუბათა

მისთასა, შესაძლოა არს ხილუად, რომელს უოფილ  
 არს იგი ფრიად დიდ. მახლობელ ქალაქისა ამის  
 არს ციხე, რომელსა შინა აქუს მეოფობა თვისი  
 ფაშასა. სიგრ: 52°, 30'. სიგრ: 31°, 28'.

კალაგია, სქ: 16, მუხ: 6. სამთავრო  
 მცირისა ასიისა შეერთებული კაბბადუკიისა,  
 ჰამფილიისა, ჰონგოსა და ბითზნიისადმი, რომ-  
 ლისაცა არს იგი ნაწილი, და წოდებულა არს ეს-  
 რეთ სახელის გამო კალლოველთასა, ერთა გარდ-  
 მოსახლებულთა იტალიითგან, რომელთაცა აღა-  
 თხრესრა მკვერონია და საბერძნეთი, მხედართ-  
 მღჳანველობითა ბრენნასითა, დასახლებულ-  
 იქმნენ მათგანნი ჰირველად კიდეთა ზედა თრავია  
 სათა, და შემდგომად მიხოდებულ-იქმნენ ბითზ-  
 ნიის ქუთისა ნიკომედიის მიერ 272 წელსა შინა  
 ვიდრე შობადმდე ქრისტესსა, შესაწევნელად,  
 წინააღმდეგობისა მიმართ უმცროსისა მმისა მისი-  
 სა, რომელთაცა აღაშენნეს სამეოფნი თვისნი მათ-  
 დამი დანიშნულსა კერძოსა შინა ბითზნიისასა,  
 და უწოდეს მას კალაგიად, ხოლო უკანასკ-  
 ნელ განძლიერდენ და დაიპურეს უოველივეცა ბი-  
 თზნია. ესე კალაგელნი არიან იგინი, რომელთა

რძიცა მოციქულმან წმიდამან პავლეო მისწერს  
 ეპისტოლუ. ხოლო ვინაჲცან ერნი მას ადგილსა  
 შინა დასახლებულ-იუვნენ ერთად გალათოველნი  
 და ბერძენნი, ამის თვს იწოდებოდაცა იგი გალ-  
 ლათოვრებიცა; აჲ ადგილი ესე შეაძრგენს კერძოსა  
 ნაგოლიისასა, სადაცა არს ჩინებული ქალაქი  
 ანდორა, ძუნღაჲ სახელა განთქმული ან კი-  
 რიაჲ.

გალილია, სამთავრო შემაძრგინებულა  
 ჩრდილოჲ კერძო პალესტინისა, რომელიცა გა-  
 ნიყოფებოდა სემოჲ და ქუმმოჲ ნაწილად.  
 პირველი ამათგანი იწოდებოდა წარმართთაჲ,  
 მაგ: 4, მუხ: 16, უეჭუმღაჲ მისთვის რომელს,  
 მას შინა ქსცხოვრებდენ მრავალნი წარმართნი  
 ისრაილთა შორის. იგი უმეტეს მდებარებდა  
 ჩრდილოჲში, ვიდრემდის ქუმმოჲ; სემოჲ შეიცუ-  
 ვდა თვს შორის გომსა ასერიისა და ნეფთალე-  
 მისასა, ხოლო ქუმმოჲ ისახარისა და სამუ-  
 ლონისასა. უკეთუ სადამე ახალსა აღთქმასა  
 შინა მარგივად მოიხსენებდეს გალილიასა, იგი  
 ცნობად სათანადო-არს, რომელ იცევს ქუმ-

მომხსნა გალილიისათვის, ესე იგი მისთვის,  
 რომელიცა მძებარებდა გენესარეთის ტბისა თანა.  
 იოსებ ფლავიანე, მიხედვსამებრ ნაყოფგამომ-  
 ღებლობისა, აქებს ამას პალესტინისა სამთავროსა  
 უფროს სსუათა. ღა თვთ საქმითაცა იჩუწნების,  
 რომელ თვნიერ ადგილისა მის განვრცელებით მძე-  
 ბარისა ქორაზინითგან, არა უმეტეს გარნა მხო-  
 ლოდ ათისა ოდენ ვერსტისა, სადაცა არს იგი-  
 ვლადოვანი და მთიანი, ესეოდენი სასიამოვნო  
 მძებარებობა შეუდგების გალილიისა, რომელ მნელ-  
 არს აღწერაცა მისი. მიწა ადგილისა ამის არს  
 გარდამატებით ნაყოფიერ, არამედ მიწეზის გამო-  
 არაბთა მორბეობისა არა არს კეთებითსა მუშაკო-  
 ბასა შინა. ღა ამათ ყოველთა თანა იგი არს აღმომა-  
 ცენებელი ფრიად მრავალთა ვეთილთა მდელთა,  
 და უმეტეს როზმარინისა (სღვს ვარდისა). ხოლო  
 დასახლებულარიან მრავალთა ადგილთა შინა  
 არაბნი, რომელნიცა ჰოხიერთა და სასიამოვნოთა  
 სამოვართათვს, რომელსა ზედაცა მწესიან იგინი  
 ცხოვართა და აქლემთა, აკეთებენ მდინარის ჰირთა  
 სედა ქობთა, და ადგილითი ადგილად იცუალებიან;

გარნა იგინი არა მოქმედებენ მიწისა მუშაკობასა, არამედ იზრდებიან მხოლოდ ჰსძითა.

